საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო ადგილობრივი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ხელს უწყობს, მაგრამ ძალადობა და დაშინება კვლავ შემაშფოთებელია

10 ივნისი, 2014

წინამდებარე შუალედურ ანგარიშში წარმოდგენილია ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემოს ანალიზი საქართველოში 2014 წლის 15 ივნისს დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნებისთვის. ანგარიშს წინ უძღოდა NDI–ის წინასაარჩევნო მისიის 2 მაისის ანგარიში, რომელიც მოიცავს დელეგაციის დაკვირვებებსა და რეკომენდაციებს საკანონმდებლო ჩარჩოს, საარჩევნო ადმინისტრაციის, ქალთა მონაწილეობის, საარჩევნო კამპანიის გარემოს, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების, ამომრჩეველთა სიის, მედია გარემოს, საარჩევნო კამპანიის დაფინანსების, უწყებათაშორისი კომისიისა და არჩევნებზე დაკვირვების შესახებ.

წინამდებარე ანგარიში ოთხი გრძელვადიანი საარჩევნო ანალიტიკოსის მოკვლევის შედეგებს ეფუძნება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რომელიც 18 მაისიდან 6 ივნისამდე პერიოდს მოიცავს, მისიის წევრებმა მოინახულეს 36 საარჩევნო ოლქი, ჩაატარეს 225–ზე მეტი შეხვედრა მთავრობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირებთან, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან და დაესწრნენ საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებს, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) სხდომებსა და არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს. NDI–ის ანალიტიკოსები საარჩევნო პროცესებს არჩევნების დღესა და არჩევნების შემდგომ პერიოდშიც შეაფასებენ. NDI ყველა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას *„არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის“* და მისი თანმხლები *„საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლების ქცევის კოდექსის“*შესაბამისად ახორციელებს. ამ პრინციპებს მხარს 48 წამყვანი საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაცია უჭერს.

დასკვნა

ადგილობრივი არჩევნები საარჩევნო კანონმდებლობისა და ადმინისტრირების კუთხით გაუმჯობესებით გამოირჩევა და ქალთა მონაწილეობაც, ერთი შეხედვით, მზარდია, რაც არამარტო ადგილობრივი, არამედ მომავალი არჩევნებისთვის დემოკრატიული პროცესების ხელისშემწყობი ჩარჩოს შექმნის პროცესს ემსახურება. ამავდროულად, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ზეწოლისა და ძალადობის კუთხით წუხილი კვლავ რჩება.

საკანონმდებლო ცვლილებებით 1–დან 12–მდე გაიზარდა ქალაქების რაოდენობა, სადაც მერები პირდაპირი წესით აირჩევიან; ასევე 4%–მდე დაიწია საარჩევნო ბარიერმა საკრებულოში პროპორციული მანდატების მოსაპოვებლად და განისაზღვრა კამპანიის დაფინანსების ახალი სისტემა, რომელმაც პოლიტიკურ პარტიებს სახელმწიფო დაფინანსება გაუზარდა. აღნიშნული ცვლილებები ზრდის მოქალაქეების ჩართულობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აძლევს პარტიებს საშუალებას, ეფექტურად ჩაერთონ საარჩევნო რბოლაში. NDI–ის საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, მოქალაქეებს აქვთ მოლოდინი, რომ არჩევნები კარგად ჩატარდება. NDI–ის გრძელვადიანი ანალიტიკოსებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების დაკვირვებით, ამ დრომდე საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონემ საკუთარი მოვალეობები კანონით დადგენილი ვადების დაცვით განახორციელა. ზოგადად, პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობას პოზიტიურად აფასებენ და, წინა არჩევნებთან შედარებით, მათ გაზრდილ პროფესიონალიზმზე მიუთითებენ. NDI და ადგილობრივი დამკვირვებლები დაესწრნენ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგებს და აღნიშნეს, რომ ტრენინგები არის პროფესიული, თანმიმდევრული, ინტერაქტიული და დასწრების მაღალი დონით გამოირჩევა. საჭიროების შემთხვევაში ტრენინგები უმცირესობების ენებზე ჩატარდა.

თუმცა დაპირისპირება არჩევნებში მონაწილე ორ ყველაზე მსხვილ პოლიტიკურ ბლოკს – ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის – სხვა მხრივ დემოკრატიული ხასიათის საარჩევნო და მმართველობის პროცესების შემასუსტებელ გარემოებად რჩება. პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობისა და დარეგისტრირებულ კანდიდატებზე ზეწოლის შესახებ ბოლო პერიოდში გაჟღერებულმა ბრალდებებმა ჩრდილი მიაყენა საარჩევნო კამპანიას, რომლის მშვიდობიან გარემოში წარმართვის პირობა პოლიტიკურმა ლიდერებმა დადეს.

დაკვირვებები

საარჩევნო კამპანიის გარემო

საარჩევნო კალენდარმა ახალ პარტიებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს გარკვეული პრობლემები შეუქმნა. 60–დღიანი საარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილი მათ კანდიდატების რეგისტრაციის პროცესს მოანდომეს. მათ ამომრჩევლებთან ურთიერთობის დაწყება მხოლოდ რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგ შეუძლიათ. ეს კი აღნიშნულ ახალ პარტიებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს დამკვიდრებულ პარტიებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. NDI რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის უწყებებს, მომავალი არჩევნებისთვის გადაიხედოს კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცედურები აღნიშნული საკითხის ჩათვლით.

ერთი შეხედვით, პარტიების უმრავლესობა – ადგილობრივი პრობლემატიკის ნაცვლად, უფრო მეტად სხვა პარტიების კრიტიკასა და დელეგიტიმაციაზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითისთვის, კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ არჩევნებს ყველა სახელისუფლებო სტრუქტურიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის განდევნის საბოლოო ნაბიჯად განიხილავენ. ნინო ბურჯანაძე - გაერთიანებული ოპოზიცია ხაზს უსვამს ,,სამართლიანობის აღდგენას“ – ანუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფილი ლიდერების დაპატიმრებას მათი მმართველობის პერიოდში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სავარაუდო ფაქტების გამო.

პრემიერ მინისტრმა, რომელიც კოალიცია ქართული ოცნების ლიდერია, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში რამდენჯერმე გააკეთა საჯარო განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მისი პარტია არჩევნებში ერთადერთი ლეგიტიმური მონაწილეა და სხვა პარტიების გამარჯვება დაუშვებელი იქნება. მან ასევე მიანიშნა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს სავარაუდო დანაშაულების ჩადენის გამო გამასწორებელი სამუშაოები უნდა მიესაჯოთ. აღნიშნული განცხადებები, რომელიც მთავრობის მეთაურის მხრიდან კეთდება, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არჩევნების მიუკერძოებლობისათვის, რომელსაც საარჩევნო და სხვა სამთავრობო სტრუქტურებმა დაუღალავი შრომის შედეგად მიაღწიეს. მსგავსი ტიპის განცხადებები აგრეთვე ქმნის საფრთხეს, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია მათ არასწორ ინტერპრეტაციას მისცემს და მმართველი კოალიციის გამარჯვების უზრუნველსაყოფად მიღებულ დირექტივად აღიქვამს.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკა ბოლო რამდენიმე არჩევნების დროს თანდათანობით შემცირდა, ოპოზიცური პარტიებისა და დამკვირვებლებისთვის ეს ჯერ კიდევ შეშფოთების საგანს წარმოადგენს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (სამართლიანი არჩევნები)

ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდა და საჯარო რესურსების საარჩევნო კამპანიის მიზნით გამოყენება გააკრიტიკეს. ადგილობრივი ბიუჯეტები საარჩევნო კამპანიის პერიოდის ოფიციალურ დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გაიზარდა, რაც სამართლებრივად კანონდარღვევას არ წარმოადგენს, თუმცა ამან გააჩინა კითხვები იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ბიუჯეტის გაზრდა პოლიტიკურად მოტივირებული. ამასთანავე, რესურსების არამიზნობრივად გამოყენების შთაბეჭდილებამ – მიუხედავად იმისა, ეს შთაბეჭდილება ფაქტებზეა დაფუძნებული თუ არა – შესაძლოა, საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობის ხარისხი შეამციროს. NDI რეკომენდაციით მიმართავს მთავრობას, დამატებით განმარტოს, რა არის ადმინისტრაციული რესურსი და მკაფიოდ გამიჯნოს ერთმანეთისგან სახელმწიფო და საარჩევნო კამპანიის რესურსები. ასევე, საჭიროა ბიუჯეტის შედგენის პროცესი იყოს უფრო გამჭვირვალე, რათა თავიდან იქნას აცილებული დებატები და ბრალდებები არჩევნების პერიოდში ბიუჯეტზე მიღებული გადაწყვეტილებების პოლიტიკურად მოტივირებული ხასიათის შესახებ.

შვიდმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ცესკომ და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისმა კომისიამ (უწყებათაშორისი კომისია) ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ზოგად სტანდარტებს განსაზღვრავს. უწყებათაშორისი კომისია არის სახელმწიფო კომისია, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს და მის შემადგენლობაში სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები შედიან. კომისიის მანდატი ,,საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია და დარღვევებზე რეაგირებაა.“ ეს მემორანდუმი სახელმწიფო და პარტიული რესურსების გამიჯვნის განმარტების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ეს პრინციპი ასევე ხაზგასმულია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) კოპენჰაგენის დოკუმენტში.

საერთო ჯამში, მედია გარემო ამომრჩევლებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს. ზოგადად, მედია საშუალებები საარჩევნო კამპანიას დაბალანსებულად და გამჭვირვალედ აშუქებენ. რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლები კანდიდატებს შორის დებატებს მართავენ და აშუქებენ. რამდენიმე პოლიტიკური პარტია, განსაკუთრებით მსხვილი პარტიები, დებატებში მონაწილეობის შესაძლებლობას სრულად არ იყენებს. რეგიონული მედიისთვის არჩევნების გაშუქებისას მთავარ დაბრკოლებად რესურსების სიმცირე და კანდიდატთა სიმრავლე მიიჩნევა.

გასული თვის განმავლობაში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით კითხვები ორ შემთხვევაში გაჩნდა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ჯგუფმა, მათ შორის – საერთაშორისო გამჭირვალობა–საქართველომ, სამართლიანმა არჩევნებმა და სამოქალაქო განვითარების სააგენტომ – 11 მაისს გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ

მიუღებელია მედიის წარმომადგენლების სისხლისსამართლებრივი დევნა ფარული ჩანაწერების მოპოვებისა და გავრცელების გამო. ეს განცხადება უკავშირდებოდა ხელისუფლებისა და პარლამენტის წევრების მუქარას რუსთავი 2–ის წინააღმდეგ სამართლებრივი მოქმედების დაწყების შესახებ. სამოქალაქო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ რუსთავი 2–ის ჟურნალისტები მაუწყებელთა ქცევის კოდექსის სრული დაცვით მოქმედებდნენ. ასევე მაისში მთავრობამ ტელეკომპანია მაესტროს ჟურნალისტი მიკერძოებულობაში დაადანაშაულა, რადგან მან ინტერვიუ ჩამოართა პირებს, რომლებმაც მთავრობის მიმართ კრიტიკული მოსაზრებები დააფიქსირეს. სამოქალაქო საზოგადოების მიერ ეს შემთხვევა სახელმწიფოს მხრიდან ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის მცდელობად შეფასდა.

პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა თანახმად, ზეწოლისა და პოლიტიკური ძალადობის მაჩვენებელმა გასულ არჩევნებთან შედარებით შემცირდა. თუმცა NDI–ისა და ადგილობრივი ორგანიზაციების დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ, გასული წლის არჩევნებთან შედარებით, პოლიტიკური ძალადობა გამწვავდა, მათ შორის არის სისხლიანი ინციდენტებიც.

27 მაისს თბილისის ერთ–ერთ კაფეში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს წევრს, ზურაბ ჭიაბერაშვილს, დაესხნენ თავს. ჭიაბერაშვილი აგრეთვე უწყებათაშორის კომისიაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელია. საიამ და საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველომ გამოაქვეყნეს განცხადება, სადაც ყველა მხარეს ძალადობისგან თავის შეკავებისკენ, ხოლო მთავრობას აღნიშნული ინციდენტის სწრაფი და ობიექტური გამოძიებისკენ მოუწოდეს. აღნიშნულმა საქმემ განაახლა დისკუსია პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის შემთხვევებზე ქმედითი რეაგირების აუცილებლობაზე.

მარტის ბოლოს პარლამენტის წევრი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ნუგზარ წიკლაური რამდენიმე პირმა სცემა და მისივე განცხადებით, მისი გატაცებაც სცადეს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველმა შესაბამის ორგანოებს ინციდენტის სრულყოფილი გამოძიებისკენ მოუწოდეს. მაისის დასაწყისში ბიზნესმენი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ–ერთი მაღალჩინოსნის ძმა, დავით კოდუა სასტიკად სცემეს, რასაც პროკურატურამ ,,შურისძიების ნიადაგზე წინასწარი განზრახვით ჩადენილი ჯგუფური თავდასხმა“ უწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ძალადობასა და ზეწოლებთან დაკავშირებით მკაცრი პოზიცია დაიკავა და უწყებათაშორისმა კომისიამ დადებითი შეფასება მიიღო, როგორ ფორუმმა, სადაც

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება, მმართველი პარტიის სხვა წევრების საჯარო განცხადებები უფრო ორაზროვანი იყო. მთავრობისა და საკანონმდებლო ლიდერების მხრიდან აღნიშნული ფაქტების უფრო მკაცრად დაგმობა საარჩევნო კამპანიის პერიოდში და მის შემდგომ ძალადობის და ზეწოლის მიმართ შეუწყნარებლობის სიგნალს გააგზავნის. შემდგომში ძალადობის პრევენციის მიზნით უნდა ჩატარდეს სრულყოფილი და სწრაფი გამოძიება და დამნაშავე პირები უნდა დაისაჯონ. ასევე პოლიტიკურმა ლიდერებმა თავი უნდა შეიკავონ იმ ინციდენტების პოლიტიზირებისგან, რომლებსაც პოლიტიკასთან კავშირი არ აქვს. მაგალითად, გარდაბანში ეთნიკურად ქართველ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს შორის მომხდარი შეტაკება ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების წარმომადგენლებმა ურთიერთბრალდებებისთვის გამოიყენეს. ასეთმა რეაგირებამ შესაძლოა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში მდგომარეობის დაძაბვა გამოიწვიოს. NDI რეკომენდაციით მიმართავს პარტიებს, შეიმუშაონ და აღასრულონ შიდაპარტიული ქცევის კოდექსი, რათა აიღონ უფრო მეტი პასუხისმგებლობა საკუთარი წევრების ქმედებებზე.

დაშინება და ზეწოლა

მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო კამპანიას სხვადასხვა მიზეზით 400-მდე კანდიდატი გამოეთიშა. 30–ზე მეტ შემთხვევაში კანდიდატურის მოხსნა პოლიციის მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო ზეწოლას უკავშირდება, თუმცა NDI–მ დეტალების დადასტურება ვერ შეძლო. სამართლიანი არჩევნების, საერთაშორისო გამჭვირვალობისა და საიას მიერ 30 მაისს გაკეთებულ ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამია, რომ ამ შემთხვევებმა გააჩინა ეჭვი, რომ ამის საბოლოო მიზანი ზოგიერთ საარჩევნო ოლქში ოპოზიციური პარტიების მიერ წარდგენილი მთლიანი პარტიული საარჩევნო სიების გაუქმებაა. განცხადება გააკეთეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლებმაც: „ნათელია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში საარჩევნო კანდიდატების მოხსნა ზეწოლის ქვეშ არ უნდა ხდებოდეს და მიუღებელია, თუ ამას მართლაც ჰქონდა ადგილი.“

სავარაუდო ზეწოლის შედეგად კანდიდატების მოხსნის შემთხვევების უმრავლესობა კონცენტრირებულია დმანისისა და ნინოწმინდის რაიონებში, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქვემო ქართლისა და სამცხე–ჯავახეთის ოლქებში მდებარეობს. აღნიშნულ ოლქებში ერთი და იმავე პარტიული სიიდან რამდენიმე კანდიდატმა მოხსნა კანდიდატურა. საარჩევნო კანონმდებლობა თითოეულ პარტიულ სიაში კანდიდატების მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც მთლიანი პარტიული სია უქმდება. მაგალითისთვის, დმანისში ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის ოთხმა კანდიდატმა მოხსნა კანდიდატურა, რითაც მათი შანსი მანდატების მოპოვებისა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამავე ბლოკის სამმა კანდიდატმა კი ნინოწმინდაში მოხსნა კანდიდატურა. დამატებით, კანდიდატურა მოხსნა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხუთმა წარმომადგენელმა დმანისში და საქართველოს გზის ხუთმა კანდიდატმა

ახალციხეში. ის ფაქტი, რომ აღნიშნული შემთხვევები უმეტესად უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ხდება, ქმნის დამატებითი შეშფოთების საფუძველს იმ ამომრჩეველთა დაშინების კუთხით, რომლებიც, ტრადიციულად, საარჩევნო უფლებას არაპროპორციულად ვერ ახორციელებდნენ.

ცესკომ გააუქმა საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის კანდიდატების რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე დმანისსა და ნინოწმინდაში. დამატებით, ცესკომ მოსთხოვა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს, გამოიძიონ ყველა შემთხვევა, როდესაც კანდიდატებმა მათ კანდიდატურის მოხსნის თაობაზე მიმართეს და ჩატარებული მოკვლევის შედეგები სამი დღის ვადაში აცნობონ ცესკოს. ეს შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა. დამატებით, ცესკოს 13–ვე წევრმა მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით კანდიდატურის მოხსნა პარტიული სიის გაუქმების მიზეზად აღარ ჩაითვლება.

მარნეულში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამგებლობის კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნამ იმ მიზეზით, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა ორწლიანი საცხოვრებელი ცენზის მოთხოვნას, უთანხმოება გამოიწვია. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის განცხადებით, ხელისუფლებამ რეგისტრაციიდან მოხსნის მიზნით კანდიდატზე, ხოლო რეგისტრაციის გაუქმების მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეზე ზეწოლა განახორციელა. სამთავრობო უწყებებმა კი განაცხადეს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები საარჩევნო კომისიის წევრებს დაემუქრნენ. მდგომარეობის შემდგომი დაძაბვის თავიდან ასაცილებლად მნიშვლოვანია, რომ ინციდენტის გამოძიება გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად წარიმართოს.

მხარეებმა საჩივრების წარდგენის არსებული მექანიზმები უნდა გამოიყენონ, რათა კანდიდატებზე განხორციელებული დაშინებისა და ზეწოლის ბრლადებები ოფიციალურად იქნას გამოძიებული. NDI–მ და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა მოისმინეს ბრალდებები დაშინების ფაქტების შესახებ, რომლებიც შესაბამის ორგანოებში არ გადაგზავნილა. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ამის მიზეზად შესაბამისი ინსტიტუტების მიერ ძალადობის ბრალდებების გამოძიების ნებისა და შესაძლებლობების მიმართ უნდობლობას ასახელებენ. მიუხედავად ამისა, არსებული პროცედურები არის გადამწყვეტი პირველი ნაბიჯი მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

ეუთოს წევრ სახელმწიფოთა შორის საქართველოს და სომხეთს ყველაზე ცოტა არჩეული ქალი–წარმომადგენელი ჰყავთ. არსებული პრობლემის მოგვარების მიზნით, პარლამენტმა კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა, რომლის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტები მიიღებენ დამატებით დაფინანსებას იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ წარმოდგენილ პარტიულ სიებში კანდიდატთა 30% ან მეტი იქნება ქალი, რაც გულისხმობს ყოველ ათეულში სულ

ცოტა 3 მდედრობითი სქესის კანდიდატის არსებობას. საკრებულოს პარტიულ სიაში ქალთა რაოდენობის გაზრდის მიზნით საარჩევნო კანონმდებლობაში ფინანსური წახალისების შესახებ ცვლილების შეტანა მისასალმებელია. ამ ანგარიშის გამოქვეყნების ეტაპისთვის პარტიულ სიებში დარეგისტრირებულ კანდიდატთაგან დაახლოებით 35 % ქალია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შედარებით მწირია შემთხვევები, როცა ქალები პარტიულ სიებში მომგებიან პოზიციებს იკავებენ. გარდა ამისა, მაჟორიტარობის, გამგებლობისა და მერობის კანდიდატი ქალების რაოდენობა კვლავ დაბალი რჩება – დაახლოებით 15%, 4% და 12% (შესაბამისად). აღნიშნული საკითხი მომავალი არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების მხრიდან დამატებით ყურადღებას იმსხურებს.

საარჩევნო ადმინისტრაციაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის 13–წევრიანი შემადგენლობიდან 4 ქალია, მათ შორის კომისიის თავმჯდომარეც. საოლქო კომისიის წევრების დაახლოებით 59% ქალია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში ქალთა რაოდენობა დაახლოებით 68%–ია. დამატებით, საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების 55% ქალია.